

უმაღლესი აკადემიური განათლების II საფეხური



აჭიჯენა

ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
„დიპლომირებული მედიკოსი“

კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი: დიპლომირებული მედიკოსი
QUALIFICATION/ACADEMIC DEGREE -- Medical Doctor
პროგრამის მოცულობა: **360 ECTS კრედიტი**
სწავლების ენა – ინგლისური

საგანმანათლებლო პროგრამის
ხელმძღვანელი -- სოფიო ბერიძე
მედიცინის დოქტორი, პროფესორი

პროგრამის განხორციელების ვადა: 2024-2029 წწ

ბათუმი 2023

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც „საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად ჩაბარებული აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდები. უცხო ქვეყნის მოქალაქე პროგრამაზე ირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა უმაღლეს სასწავლებელში მიღების წესით.

ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში აბიტურიენტის დაშვების წინაპირობას წარმოადგენს:

უცხო ქვეყნის მოქალაქის მიერ მინიმუმ ინგლისური ენის B1 დონის დამადასტურებელი საერთაშორისოდ აღიარებული სერტიფიკატის ქონა (IELTS, TOEFL, Cambridge English, UNlcert®, EnglishScore და სხვ.)

ან

ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქე აბიტურიენტებისთვის შესაბამისი დოკუმენტის (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა) წარმოდგენისას და ასევე საქართველოს მოქალაქისთვის, რომელმაც ინგლისურ ენაზე უცხო ქვეყანაში მიიღო სრული ზოგადი განათლება, ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომელიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდა უცხო ქვეყანაში და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტს (მაგ.: ატესტატი, სერტიფიკატი და სხვა).

აღნიშნული მოთხოვნის ალტერნატივად ავიცენა-ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის პროგრამაზე დაშვების წინაპირობა - გამოცდა, რომელიც მოიცავს მოსმენას, წაკითხული ტექსტის გააზრებასა და ანალიზს, საუბარს. შედეგად დადასტურებული ცოდნის ზემოხსენებული დონე.

პროგრამის აქტუალობა და მიზნები

მედიცინა ოდითგან ითვლება კეთილშობილურ და პრესტიჟულ პროფესიად, რასაც განსაზღვრავდა ერთი მხრივ, დარგის მესვეურთა უნარი - ემოქმედა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად, გასახანგრძლივლებლად და ხარისხის ასამაღლებლად, ხოლო მეორეს მხრივ, თავად დარგის დაუფლების სირთულე, რაც მნიშვნელოვან ბარიერს აწესებდა ამ პროფესიის დაუფლების გზაზე.

კაცობრიობის განვითარების და ღირებულებების ცვლილებათა კვალდაკვალ, იცვლებოდა ექიმის როლი საზოგადოებაში; რიგ და განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, ქვეყნის და საზოგადოების კეთილდღეობის და ჯანმრთელობის განმსაზღვრელია ექიმის საკმარისი კომპეტენცია, დაავადების სისტემური, თანმიმდევრული და არაფრაგმენტული მართვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - საკმარისი მატერიალურ ტექნიკური რესურსი და ბიუჯეტი.

მსოფლიოს ბოლო გამოწვევამ, კოვიდ პანდემიამ - ნათლად დაგვანახა, თუ სად უნდა გადიოდეს სახელმწიფოების პრიორიტეტების ხაზი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი განათლება - მედიცინაში.

გამოიკვეთა ის ღირებულებები და სოციალური პასუხისმგებლობები, რომლებიც როგორც თეორიული გაკვეთილი, არასოდეს ისწავლებოდა და ყველასთვის ნათელი გახდა - გამოწვევებისადმი კომუნის მზაობის უფრო ორგანიზებული ფორმის შემუშავების საჭიროება; სამედიცინო განათლების ფოკუსი ინდა გასწორებულიყო შემთხვევაზე სწრაფი რეაგირების უნარების გამომუშავებაზე, ცოდნის გაღრმავებაზე, ტელემედიცინის განვითარებაზე, საზოგადოების სამედიცინო მიმართულებით გაცნობიერების დონის ამაღლებასა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გლობალური ჯანდაცვის პრინციპების ინდივიდუალურ დაყვანის საჭიროებაზე.

სწორედ აღნიშნული პრინციპების გაცნობიერების საფუძველზე შემუშავდა ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩამოყალიბდა პროგრამის 5 ძირითადი მიზანი:



ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერების თეორიული ცოდნით აღჭურვილი, ტრანსლაციური და მტკიცებითი მედიცინის პრაქტიკული მნიშვნელობის, ბიოინფორმატიკის როლის გაცნობიერების მქონე პროფესიონალის მომზადება



ექიმის კვალიფიკაციის მქონე ისეთი კადრის მომზადება, რომელსაც შეეძლება ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემების დიაგნოსტიკა და მართვა ინდივიდუალური და სოციალური საჭიროების გათვალისწინებით ჯანდაცვის სისტემის პირველად, მეორეულ და მესამე დონეზე, სტანდარტული კლინიკური პროცედურების ჩატარება, საბაზისო ფარმაკოლოგიის და რაციონალური ფარმაცოთერაპიის წარმოება, პაციენტისთვის ჩვეულ და ფორს-მაჟორულ გარემოში კონსულტაციის და დახმარების გაწევა, სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარების, მძიმე პაციენტის ამოცნობა და მართვა



თანამედროვე ინტერკულტურული აზროვნების, დინამიურად ცვლად გარემოში ადაპტირებადი, გლობალური აზროვნების, საზოგადოებისადმი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ექიმის მომზადება;



ჰუმანური, მაღალი ეთიკური ღირებულებების მატარებელი ექიმის აღზრდა, რომელიც შეძლებს საზოგადოების ჯანმრთელობის, დღეგრძელობისა და კეთილდღეობის ერთობლივი საჭიროების გაცნობიერებას და ხელშეწყობას, ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში წვლილის შეტანას



სტუდენტისთვის ინტერპერსონალური და სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობის, ფსიქო-სოციალური მეცნიერების ბაზისის მცოდნე, თვითმართული სწავლებისა და განვითარების შესაძლებლობის უნარის გამომუშავება.

აღნიშნული მიზნების დასახვით, შესაძლებელი ხდება საბაზისო სამედიცინო განათლების მიღებისა და მისი უწყვეტი განახლების სისტემის ხარვეზების აღმოფხვრა, სამედიცინო განათლების ხარისხის გაუმჯობესება.

მიზნების განხორციელება პროგრამის მაქსიმალური ინტეგრირებითა და ინტერნაციონალიზაციით მიიღწევა, რაც გარდა უწყვეტი სამედიცინო განათლების სისტემური მხარდაჭერისა, მოითხოვს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ინტელექტუალური, მატერიალურ -ტექნიკური რესურსების გაუმჯობესებისაკენ სწრაფვას, მაღალი ხარისხის დასავლური სამედიცინო სფეროსა და ეფექტური სამედიცინო განათლების სისტემის მოდელისა და გამოცდილების გაზიარებას და იმპლემენტაციას. სწორედ, ეს სტრატეგიული მიდგომა დაედო საფუძვლად წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას. მნიშვნელოვან აკადემიურ გამოწვევასთან ერთად, პროგრამა გააჩენს შესაძლებლობას სწავლებისა და კლინიკურ მედიცინის დაახლოების, საერთაშორისო სტანდარტებთან კორელაციაში მოყვანის. აღსანიშნავია ასევე, რომ პროგრამაში საერთაშორისო სტუდენტების ჩართვით, როგორც უნივერსიტეტში, ასევე რეგიონში იქმნება მდგრადი ფინანსური პლატფორმა.

პროგრამის აღწერა

შპს „ავიგენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამა შეიქმნა უნივერსიტეტის მისიის, ხედვის, ექიმის, როგორც ყველაზე ჰუმანური პროფესიის წარმომადგენლისადმი წაყენებული მოთხოვნების გაცნობიერებით. პროგრამის ძირითადი კონცეპტუალური ხაზი აგებულია დევიზზე - სწავლა სიცოცხლის მანძილზე სიცოცხლისთვის.

პროგრამა მიმართულია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის სწავლების შედეგების გამომუშავებაზე; ითვალისწინებს საბაზისო საბუნებისმეტყველო, ქცევითი და სოციალური, კლინიკური მეცნიერებების, წამლებისა და მათი დანიშვნის პრინციპების ცოდნას, ასევე, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და ამ სისტემაში ექიმის როლის, ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გაცნობიერებას. პროგრამა ინტეგრირებულია, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური დაინტეგრირების პრინციპით და მოიცავს ტრანსდისციპლინურ მოდულებს. პროგრამა ორიენტირებულია კლინიკური კომპეტენციების, ბაზისური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე; სამედიცინო რესურსების ეფექტურ მართვაში დახელოვნებაზე.

მთავარი პრინციპი, რისი გათვალისწინებითაც დაიგეგმა პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, ემსახურებოდა არსებულ რეალურ გარემოში სამედიცინო განათლების საყოველთაოდ აღიარებული და თვალნათელი პრობლემის - ცოდნის ფრაგმენტაციის, წყვეტილი, არასისტემური სწავლების, პროფესიული უნარების სისუსტის აღმოფხვრას. სამუშაო ჯგუფში ხანგრძლივი განხილვების, შრომის ბაზრის კვლევის, სტუდენტთა გამოკითხვის ანალიზის საფუძველზე, ასევე, დასახული მიზნებისა და დაგეგმილი შედეგების მიღწევის მიზნით პროგრამის სტრუქტურული

❖ **3 ფაზის კონცეფცია:**

➤ საბაზისო ფაზა - მოიცავს ბიოსამედიცინო მეცნიერებათა შესავალ ნაწილს და სისტემური ფუნქციური ნიშნით გაერთიანებულ მოდულებს: სიცოცხლე, კვება, მოძრაობა, რეპროდუქცია, ჰომეოსტაზი, კონტროლი. იგი ემსახურება ადამიანის ნორმალური აგებულების, ფუნქციისა და განვითარების, ფიზიოლოგიური მექანიზმების ინტეგრირებისა და რეგულაციის შესწავლას და კლინიკურ კონტექსტთან მათი რელევაციის გაცნობიერებას.

➤ პრეკლინიკური ფაზა - აერთიანებს ორგანოთა სისტემების პათოლოგიის, დიაგნოსტიკისა და საბაზისო ფარმაკოლოგიის დისციპლინებს და მიმართულია ნორმასა და დაავადებას შორის სხვაობის, ორგანოთა სისტემების დაზიანების, ფუნქციური დეფიციტისა და დაავადებების გამომწვევი მიზეზების, კლინიკური, ჰისტოპათოლოგიური, ლაბორატორიული და რადიოლოგიური მანიფესტაციის შესწავლასა და შესაბამის კლინიკურ უნარებში დახელოვნებისკენ, რომლის თვალსაჩინო და თვლადი სწავლებისა და შეფასებისათვის;

➤ კლინიკური ფაზა - ემსახურება უმთავრეს ნოზოლოგიათა სრული კლინიკური სურათის, მათი დიფერენცირების, კონსერვატორული და ქირურგიული მართვისა და პრევენციისათვის საჭირო ინტერვენციის სპეციფიკური მეთოდების ღრმა და ფუნდამენტური ცოდნის მიღებასა და შესაბამისი კლინიკურ უნარებში დახელოვნებას, დამოუკიდებელი კლინიკური აზროვნების ჩამოყალიბებას, გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების მართვას, „არ ავნოს“ პრინციპითა და მტკიცებით მედიცინაზე დაყრდნობით ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი ქმედების უნარის გამომუშავებას. ამ ფაზის მნიშვნელოვანი რგოლია - ჰოსპიტალური მედიცინა და ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის მოდული, რადგან სწორედ ამ ორი მოდულში ისწავლება სამედიცინო სერვისის ამბულატორიული და ჰოსპიტალური სექტორის უწყვეტობის პრინციპი, პრევენციიდან რეაბილიტაციამდე ერთიან უწყვეტ ჯაჭვად სამედიცინო სერვისის მიწოდების საჭიროება.

❖ **ABC კონცეფცია**

გათვალისწინებულ იქნა რა, თანამედროვე მსოფლიოს, ასევე ქვეყნისა და რეგიონის ჯანდაცვის ძირითადი გამოწვევები, გაცნობის (A), გაღრმავების(B) და დახელოვნების (C) პრინციპით გაერთიანდა ორი ყველაზე რთულად მიღწევადი და მედიცინის დარგობრივ სტანდარტთან თანხვედრაში მოსაყვანი მიმართულებები:

➤ კომუნიკაცია და კოლაბორაციის ბლოკი (**Communication and Collaboration A, B, C**);

➤ პროფესიონალიზმის ბლოკი

ABC კონცეფციაზე მუშაობის დროს გათვალისწინებული იქნა როგორც პროფესორ-მასწავლებლების, ასევე საუნივერსიტეტო საზოგადოების, დამფუძნებელი კლინიკებისა და პარტნიორების გამოკითხვით გამოვლენილი ძირითადი საჭიროება - ინტერპერსონალური და პაციენტთან კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება; სტუდენტისთვის - სოციოლოგიისა და ფსიქოლოგიის საბაზისო ცოდნის მიწოდება და უნარ-ჩვევების გამომუშავება; აქვე ჩაშენდა განახლებული სტანდარტის მოთხოვნა - უცხოენოვან კურიკულუმებში ქართული ენის 12 კრედიტით სწავლების შესახებ.

❖ **„From To“ კონცეფცია:**

აღნიშნული კონცეფცია ასახავს ვერტიკალური ინტეგრაციის პროცესს და მცირედან დიდის მიღწევის პრინციპით აერთიანებს შემდეგ მოდულებს:

- **From Molecules To Cell**
- **From Cells to Organs**
- **From Organ to System**

აღნიშნულ მოდულებში შეისწავლება ბიომედიცინის მიმართულებები - მოლეკულური ბიოლოგია, ციტოლოგია, ჰისტოლოგია, ნორმული ანატომია, ფიზიოლოგია - გათვალისწინებულია მათი ინტეგრაცია ერთმანეთთან და მომდევნო დისციპლინებთან.

ამავე კონცეფციაში ინტეგრირდა პროფესიონალიზმის ბლოკები, რომელსაც შინაარსობრივი დატვირთიდან გამომდინარე დაერქვა „სტუდენტიდან ექიმამდე“

- **From Student to Physician (ABC)**

აღნიშნული მოდულები კურიკულუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღერძია; მოიცავს ძირითად კლინიკურ უნარებს, კლინიკური მსჯელობის (Clinical Reasoning) ქვემოდულს, ბიოეთიკის ძირითადი პრინციპებს, ემპათიისა და მენტორინგის კომპონენტს და ემსახურება მისიით განსაზღვრული მიზნის - თანამედროვე, კონკურენტული, ჯანდაცვის მსოფლიო გამოწვევებზე მოპასუხე პროფესიონალის ჩამოყალიბებას.

თანამედროვე სამედიცინო განათლების მოთხოვნების შესაბამისად და საერთაშორისო რეკომენდაციების პასუხად, ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია ტრანსლაციური მედიცინის კომპონენტი და სტუდენტიდან მეცნიერის ფორმირების პროცესი:

- **From Student To Scientist (ABC)**

აღნიშნული ფაზა პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და მედიცინის დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ფარავს სამეცნიერო კომპონენტს. ასევე, დარგში კვლევითი კომპონენტის უცხოელობის საჭიროების გათვალისწინებით ჩასმულია პროექტის წარმოების ქვემოდული, რომლის ჩაბარებითაც, დასტურდება სტუდენტის მეცნიერული უნარ-ჩვევები.

ამავე ციკლი მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის, ბიოსტატისტიკის კომპონენტებს დასკვნით ნაწილში - სტუდენტის მიმდინარე შეფასების ერთ-ერთ კომპონენტად განისაზღვრა ელექტრონული მოდულის ათვისება და შესაბამისი სერტიფიკატის მიღება (<https://gcp.nidatrain.org/>).

სიახლედ შეიძლება ჩაითვალოს გლობალური საფრთხეებისა და პანდემიის კომპონენტის შემოტანა, ისევე როგორც სამხედრო მედიცინის, რომელიც გარკვეული პერიოდის მანძილზე არასაჭიროდ იყო მიჩნეული და ბოლო მოვლენების გათვალისწინებით მოხდა მისი კურიკულუმში დაბრუნება.

პროგრამის კლინიკური უნარების კომპონენტი შემუშავდა ერთიანი პრინციპით და დისემინირდა კურიკულუმის სხვადასხვა ეტაპზე - მარტივიდან რთულისკენ გრადაციის პრინციპით. სწავლების ბოლო სემესტრი სრულად დაეთმო პრაქტიკას.

ამგვარად, სიმულირებული ლაბორატორიული სწავლებიდან სტუდენტის კლინიკურ გარემოში სრული იმპლემენტაციის გზით, სამუშაო ჯგუფი შეეცადა მიღწევადი და რეალისტური გაეხადა პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი შედეგი - „კლინიკური ნიშნების ერთობლიობით რელევანტური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ინტერვენციის დაგეგმვა და შესრულება. დიფერენცირებული დიაგნოსტიკა, დაავადების მენეჯმენტი სხვადასხვა

ეტაპზე და განსხვავებულ გარემოში, მწვავე და ქრონიკული მდგომარეობის მართვა. ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა”.

სტუდენტი არჩევითობის პრინციპით ირჩევს საგნებს სხვადასხვა სემესტრში, დასაწყისში - ზოგადი, ტრანსფერული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი კურსების სიჭარბით, ხოლო მაღალ კურსებზე შესულია სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - ქირურგიის, შინაგანი მედიცინისა და პედიატრიის არჩევითი კურსების სახით (ჯამში 29 კრედიტი). სტუდენტთა გამოკითხვა და კონსულტაციები ავლენდა არასამედიცინო დარგებისადმი მაღალ ინტერესს, შესაბამისად, პროგრამაში შევიდა ისეთი სასწავლო კურსები, როგორიცაა: კულტურა და ხელოვნება, ხელოვნება მედიცინაში, მარკეტინგისა და მენეჯმენტის საფუძვლები და სხვა.

სტუდენტი პირველივე სწავლების პირველი წლიდანვე პრობლემასა და შემთხვევაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გამოყენებით იღებს საბაზისო ცოდნას, ხდება თეორიული და პრაქტიკული სწავლების ინტეგრაცია. პრაქტიკული მეცადინეოები ტარდება უნივერსიტეტის კლინიკური უნარ-ჩვევების, სიმულაციური სწავლებისა და შეფასების ცენტრში, რომელიც აღჭურვილია მსოფლიოს წამყვანი მწარმოებლების მულტიფუნქციური სიმულატორებითა და მულაჟებით; აღნიშნულ ცენტრში მიმდინარეობს, როგორც სწავლება, ასევე შეფასება (OSCE, OSPE); კლინიკურ გარემოში სტუდენტის იმპლემენტაცია იწყება პირველივე სემესტრში, გრძელდება მთელი სწავლების მანძილზე და მაქსიმუმს აღწევს მეთორმეტე სემესტრში, რომელიც სრულად ეთმობა პრაქტიკას (30 კრედიტი).

პირველიდან მეთორმეტე სემესტრამდე მცირდება საბაზისო მედიცინის დისციპლინები და იზრდება კლინიკური კურსების წილი; ხოლო პარაკლინიკური სასწავლო დისციპლინები თითქმის თანაბარი მოცულობით ნაწილდება სწავლების მთელ პერიოდზე. პროგრამის შინაარსის და კომპეტენციების განსაზღვრის საბოლოო სახე განაპირობა პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციამ, არსებულმა რესურსებმა და შრომის ბაზრის მოთხოვნებმა - დამსაქმებელების მოთხოვნების ანალიზის შედეგად მიღებულმა დასკვნებმა, ასევე მათმა მონაწილეობამ სამუშაო და კურიკულუმის ჯგუფის მუშაობაში, დამსაქმებელთა ფოკუს-ჯგუფის და საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგად მიღებულმა შედეგებმა. სტუდენტის სავალდებულო დატვირთვა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს (ECTS). დასაშვებია სასწავლო წლის განმავლობაში არაუმეტეს 75 კრედიტის (ECTS) დარეგისტრირება. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული ხანგრძლივობის, მოცულობისა და სტრუქტურის გათვალისწინებით, სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში მოიცავს 60 კრედიტს (ECTS). სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა, ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

”დიპლომირებული მედიკოსის” საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს რა უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და სკოლის დებულებასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას, პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი პროფესიონალის ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა სტუდენტს სთავაზობს თეორიული და პრაქტიკული სასწავლო კურსების ისეთ სინთეზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნების მიღწევას. პროგრამა

მოიცავს მედიცინის დარგში სათანადო ცოდნის მისაღებად აუცილებელ სასწავლო კურსებს და მათი შინაარსი და მოცულობა, ასევე ფორმატი, სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები შეესაბამება დარგობრივი მახასიათებლებით გათვალისწინებულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეშვიდე საფეხურის მოთხოვნებს.

სინთეზს; პროგრამის ხანგრძლივობა 6 წელია, მოცულობა - 360 კრედიტი, მოიცავს 12 სემესტრს. ერთი კრედიტი შეესაბამება 25 საათს; ჯამში საათების რაოდენობა შეადგენს 9000 სთ-ს; მათ შორის 6326 საათი საკონტაქტოა, ხოლო 4299 საათი განკუთვნილია დამოუკიდებელი მუშაობისათვის. სტუდენტის დღიური დატვირთვა 15 სასწავლო კვირაზე გადაანგარიშებით არ აღემატება დღეში 5 საკონტაქტო საათს. პროგრამის მოთხოვნების შესრულების შემდეგ პირს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის კვალიფიკაცია.

დასაქმების სფეროები

კურსდამთავრებულს შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურაში ან გაიაროს რეზიდენტურის კურსი და უნიფიცირებული სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მიიღოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლება. ასევე:

- იმუშაოს უმცროს ექიმად ნებისმიერ ორგანიზაციაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასთან და სამედიცინო მომსახურებასთან;
- განახორციელოს კვლევითი და პედაგოგიური საქმიანობა მედიცინის თეორიულ დარგებში და/ან ჯანმრთელობის დაცვის სხვა სფეროში, რომელიც არ გულისხმობს დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულება და ა.შ.);
- დასაქმდეს ნაციონალურ და საერთაშორისო ფარმაცევტულ კომპანიებში და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრებში.

სწავლის შედეგები

ითვალისწინებს რა ქვეყნის ჯანდაცვის მოთხოვნებს და ამავდროულად ეფუძნება სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (WFME, TUNING/MEDINE), „დიპლომირებული მედიკოსის“ საგანმანათლებლო პროგრამა კურსდამთავრებულებისათვის განსაზღვრავს შემდეგ კომპეტენციებს:

დარგობრივი კომპეტენციები, მიღწევის გზები და შეფასების მეთოდები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებულმა იცის:

- ადამიანის ნორმალური აგებულება, ფუნქცია და განვითარება, მოლეკულური ერთეულიდან მთელი ორგანიზმის ჩათვლით;
- ნორმასა და დაავადებას შორის სხვაობა, ფიზიოლოგიური მექანიზმების ინტეგრირება და რეგულაცია;

- ორგანოთა სისტემების დაზიანების, ფუნქციური დეფიციტისა და დაავადებების გამომწვევი მიზეზები, კლინიკური, ჰისტოპათოლოგიური, ლაბორატორიული და რადიოლოგიური მანიფესტაცია და დიაგნოსტიკის, მკურნალობისა და პრევენციისათვის საჭირო ინტერვენციის სპეციფიკური მეთოდები;
- პოპულაციაზე გავლენის მქონე დაავადებების ეპიდემიოლოგია, ადრეული გამოვლინების და პრევენციის მეთოდები.
- ინციდენტობის და პრევალენტობის შესამცირებლად გასატარებელი ღონისძიებები;
- პაციენტის ჯანმრთელობაზე, დაავადებასა და უნარშეზღუდულობაზე მოქმედი ფაქტორების (ფსიქო-სოციალური, სოციო-ეკონომიკური, გარემო, ცხოვრების სტილი და ციკლი) გაცნობიერება.

უნარი

კურსდამთავრებულს შეუძლია:

- პაციენტის კონსულტირება - ანამნეზის შეკრება, ფიზიკური გამოკვლევის ჩატარება; კლინიკური აზროვნება და გადაწყვეტილების მიღება, განმარტებების და რჩევების მიცემა; პაციენტის მხარდაჭერა და მისი უფლებების დაცვა; პაციენტის ფსიქოემოციური მდგომარეობის სტატუსის შეფასება;
- კლინიკური ნიშნების ერთობლიობით რელევანტური სადიაგნოსტიკო და სამკურნალო ინტერვენციის დაგეგმვა და შესრულება, დიფერენცირებული დიაგნოზირების ჩატარება, დაავადების მენეჯმენტი სხვადასხვა ეტაპზე და განსხვავებულ გარემოში, მწვავე და ქრონიკული მდგომარეობის მართვა, ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტზე და მის ოჯახზე ზრუნვა;
- გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობის, ტრავმების ამოცნობა და შეფასება, მკურნალობა - გაიდლაინების შესაბამისად, ასაკობრივი და გენდერული ფაქტორების გათვალისწინებით პერსონალიზებული მედიცინის პრინციპებით;
- კლინიკური მდგომარეობის შესაბამისი მედიკამენტების გამოწერა - რაციონალური და უსაფრთხო ფარმაცოთერაპიის, ფარმაცოეკონომიკის უსაფრთხოების პრინციპების გათვალისწინებით;
- ბაზისური პრაქტიკული პროცედურების ჩატარება - ჩვენების განსაზღვრის, სწორი, უსაფრთხო ინტერვენციის დაგეგმვის, ჩატარებისა და შედეგების ინტერპრეტაციის ჩათვლით;
- სამედიცინო კონტექსტში ეფექტური წერილობითი და ვერბალური კომუნიკაცია - პაციენტთან, პაციენტის ახლობლებთან, კოლეგებთან, სამართალდამცავ პირებთან და მასმედიასთან, განურჩევლად სოციალური, კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილებისა;
- სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება;
- პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება;
- მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება;

- სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება, სამართლებრივი რეგულაციების დაცვით დოკუმენტაციის წარმოება;
- სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინციპების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება;
- ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:

სტუდენტს შეუძლია:

- კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს მართვა და ადაპტირება ახალი სტრატეგიული მიდგომების მეშვეობით, პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში წვლილის შეტანა. სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება; საკუთარი სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა
- სამეცნიერო კვლევის როლის, ბიოსტატისტიკის ჩათვლით მტკიცებულებაზე დაფუძნებული მედიცინის პრინციპების გაცნობიერება;
- პაციენტზე უწყვეტი ზრუნვის, ასევე, სამართლებრივი და ეთიკური პრინციპების მუდმივი დაცვის საჭიროებისა და მნიშვნელობის გაცნობიერება;
- პროფესიონალიზმის უმაღლესი სტანდარტების დაცვით მოქმედება, როგორც დარგის შიგნით, ასევე არასამედიცინო, მათ შორის მულტიკულტურულ, ინტერნაციონალურ გარემოში, როგორც საზოგადოების მიუკერძოებელი, კრეატიული, პატიოსანი, ეთიკური, თვითკრიტიკული, დამოუკიდებელი, ემპათიური, პაციენტისადმი, კოლეგებისადმი და მომავალი თაობისადმი კეთილგანწყობილი პირი.

პროგრამის შეფასება

მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას მთავარ სირთულედ და გამოწვევად პროგრამის დასახული მიზნებისა და მიღწეული შედეგების თვლადი და თვალსაჩინო შეფასებაა. მიჩნეულია, რომ პროგრამის განხორციელების ერთ-ერთი თვლადი ინდიკატორი კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და ასევე, მათი კარიერული წინსვლის ანალიზია. წინამდებარე პროგრამას არ ჰყავს კურსდამთავრებული, შესაბამისად, მოცემული ეტაპისთვის პროგრამის შედეგები ფასდება განმსაზღვრელი შეფასების პრინციპით: ითვლება და ანალიზდება სტუდენტთა ყოველწლიური აკადემიური მოსწრება, სამეცნიერო და სოციალური აქტივობა. წლების მანძილზე აღნიშნული პარამეტრების დინამიკა ფასდება რანდომიზაციით შერჩეული სტუდენტების მაგალითზე.

პროგრამის შეფასების ერთ-ერთ კომპონენტია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისა და სტუდენტების უკუკავშირის ანალიზი, რაც უხშირესად ობიექტურად და

თვალნათლივ ავლენს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ქმნის პლატფორმას პროგრამის დინამიკური განვითარებისთვის.

დარგის სპეციფიკის, არსებული რეალობის და რესურსის პოტენციალის გათვალისწინებით, პროგრამით დასახული მიზნებისა და მიღწეული შედეგების შემაჯამებელ და ერთ-ერთ უმთავრეს კომპონენტად განისაზღვრა პროგრამის დასასრულს (XII სემესტრი) გაწერილი პრაქტიკის სასწავლო კურსები ოთხ ძირითად მიმართულებაში (შინაგანი მედიცინა, ქირურგია, პედიატრია, მეანობა-გინეკოლოგია). პრაქტიკა პროგრამის ის ეტაპია, სადაც იქმნება მთელი პროგრამის მანძილზე დაგროვილი კომპეტენციების რეალიზების ყველაზე კარგი პლატფორმა და ქმნის შესაძლებლობას, შეფასდეს, როგორც მთლიანი პროგრამის, ასევე, თითოეული სასწავლო კურსის დასახული მიზნები და მიღწეული შედეგები. პრაქტიკის მსვლელობაში თითოეული სტუდენტი სრულიად და ხანგრძლივად იმპლემენტირებულია კლინიკურ გარემოში. ეს ფორმატი ყველაზე ხელსაყრელი პირობაა პროგრამის ეფექტიანობის შეფასებისთვის, რადგან სტუდენტის მიერ დაგროვილი ცოდნა, უნარები, ფსიქო-ემოციური **მდგრადობა, სამედიცინო ეთიკა და სოციალური ადაპტაცია** ფასდება, როგორც თავად სტუდენტის, ასევე, ლექტორის, პაციენტის და კლინიკის ძირითადი პერსონალის მიერ (360° შეფასება).

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა

პროგრამის მიზნები →	ბიოსამედიცინო და კლინიკური მეცნიერების თეორიული ცოდნით აღჭურვილი, ტრანსლაციური და მტკიცებითი მედიცინის პრაქტიკული მნიშვნელობის, ბიოინფორმატიკის როლის გაცნობიერების მქონე პროფესიონალის მომზადება	ექიმის კვალიფიკაციის მქონე ისეთი კადრის მომზადება, რომელსაც შეეძლება ჯანმრთელობის ძირითადი პრობლემების დიაგნოსტიკა და მართვა ინდივიდუალური და სოციალური საჭიროების გათვალისწინებით ჯანდაცვის სისტემის პირველად, მეორეულ და მესამე დონეზე, სტანდარტული კლინიკური პროცედურების ჩატარება, საბაზისო ფარმაცოლოგიის და რაციონალური ფარმაცოთერაპიის წარმოება, პაციენტისთვის ჩვეულ და ფორს-მაჟორულ გარემოში კონსულტაციის და დახმარების გაწევა, სარეანიმაციო ღონისძიებების ჩატარების, მძიმე პაციენტის ამოცნობა და მართვა	თანამედროვე ინტერკულტურული აზროვნების, დინამიურად ცვლად გარემოში ადაპტირებადი, გლობალური აზროვნების საზოგადოებისადმი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ექიმის მომზადება	ჰუმანური, მაღალი ეთიკური ღირებულებების მატარებელი ექიმის აღზრდა, რომელიც შეძლებს საზოგადოების ჯანმრთელობის, დღევანდელი და კეთილდღეობის ერთობლივი საჭიროების გაცნობიერებას და ხელშეწყობას, ჯანდაცვის სისტემის განვითარებაში წვლილის შეტანას	სტუდენტისთვის ინტერპერსონალური და სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობის, ფსიქო-სოციალური მეცნიერების ბაზისის მცოდნე, თვითმართული სწავლებისა და განვითარების შესაძლებლობის უნარის გამომუშავება
საბაზისო ბიოსამედიცინო კლინიკური, ქცევითი და სოციალური მეცნიერებების ცოდნა	V	V			
პაციენტისთვის კონსულტაციის გაწევა	V	V		V	V
კლინიკური შემთხვევის შეფასება, გამოკვლევების დანიშვნა, დიფერენციული დიაგნოსტიკა,	V	V	V	V	

დაავადების გეგმის მსჯელობა	მართვის შესახებ					
დახმარების გაწევა გადაუდებელი სამედიცინო მდგომარეობების (პირველადი დახმარება და სარეანიმაციო ლონისძიებები)		V	V	V	V	
მედიკამენტების შერჩევა და გამოწერა			V			V
პრაქტიკული პროცედურების ჩატარება		V	V			
სამედიცინო კონტექსტში ეფექტური კომუნიკაცია						V
სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური და სამართლებრივი პრინციპების გამოყენება				V	V	V

პაციენტის დაავადებასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტების შეფასება			V	V	V
მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპების, უნარებისა და ცოდნის გამოყენება	V		V		
სამედიცინო კონტექსტში ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენება	V				V
სამედიცინო პრაქტიკასა და კვლევაში ბიომედიცინის სამეცნიერო პრინცი- პების, მეთოდებისა და ცოდნის გამოყენება	V				

ჯანმრთელობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხორციელება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებში ჩართვა, ჯანდაცვის სისტემაში ეფექტური მუშაობა		V	V	V	
პროფესიონალიზმი (ღირებულებები, ქცევა, დამოკიდებულება)	V	V	V	V	V

სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლების მეთოდები:

ინტერაქტიური ლექციები – პროცესი, რომელიც საშუალებას აძლევს ლექტორს, ჩართოს სტუდენტები ინტელექტუალურად აქტიური მონაწილეების სახით. ლექციის მიმდინარეობისას ლექტორი იყენებს ტრიგერს მასალის ძირითადი არსის შემოქმედებითი და აქტიური გადაცემის სახით, რითიც აღწევს სტუდენტის მაქსიმალურ ფოკუსირებას ძირითად ცნებებზე, მათ განმარტებებზე, მითითებებსა და ვარაუდებზე. კრიტიკული ანალიზის ფასილიტაციითა და ორმხრივი უკუკავშირით მიიღწევა სტუდენტთა ყურადღებისა და მოტივაციის გაზრდა. ამავდროულად, მიიღწევა ლექციის მთავარი მიზანი, კერძოდ კი, საგნის ძირითადი დებულებების და სასწავლო მასალის თანმიმდევრულად გადმოცემა, სტუდენტთა აზროვნებისა და სამეცნიერო პრობლემების აღქმის უნარის გააქტიურება.

პრაქტიკული/ჯგუფური მუშაობა - გულისხმობს ჯგუფებში საკითხის განხილვას, მომხსენებლისათვის დასასმელი კითხვების ჩამოყალიბებას და დისკუსიას. პრაქტიკული მუშაობისას თეორიული ცოდნა სტუდენტს გადაეცემა ეტაპობრივად და ხელს უწყობს მის მიერ კონკრეტული პრობლემების დამოუკიდებლად გადაწყვეტას. სტუდენტები დამოუკიდებლად სხვადასხვა ტიპის სიმულატორთან და/ან კომპიუტერთან/გამოსახულებებთან და ახდენენ თეორიული მასალის კონკრეტულ პრობლემასთან მისადაგებას. პრაქტიკული მუშაობის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ოპერაციული აქტივობა, მათ შორის, მანიპულაციების ჩატარება, ინსტრუმენტული გამოკვლევები მიღებული შედეგების ანალიზით (დასკვნის ინტერპრეტაცია და დაზიანების სიმძიმის შეფასება). ლაბორატორიული კვლევების შედეგების შეფასება განაპირობებს ანალიზისა და სინთეზის უნარის განმტკიცებას, ასევე, კონკრეტული შემთხვევის განხილვა, რომელიც ავითარებს შეზღუდულ დროში გადაწყვეტილების მიღებისა და ალტერნატიული მსჯელობის, დაგეგმვის და შედეგების განჭვრეტის უნარებს.

როლური თამაში - არის მეთოდი, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს, მიმდინარეობისას გამოიყენოს თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები სიტუაციაში, როდესაც იგი ასრულებს გადაწყვეტილების მიმღების როლს. რეალურთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში სტუდენტები როლური ფუნქციის ფარგლებში წყვეტენ კონკრეტულ პრობლემას საკუთარი და/ან ჯგუფური რესურსების სწორად გადანაწილების და სიტუაციის სწრაფი ანალიზის გზით. ეს აქტივობა განავითარებს: თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს; რთული და კომპლექსური პრობლემის შეფასებისა და გადაჭრის სწორი მეთოდის გამოყენების, პროფესიული ღირებულებების გააზრების უნარს.

ლაბორატორიული მუშაობა - პრაქტიკული მუშაობის ვარიანტია, რომელიც პროცესების ვიზუალიზაციის მეტ საშუალებას იძლევა. სტუდენტი სწავლობს ცდის ჩატარებას,

ლაბორატორიულ მასალებთან და დანადგარებთან მუშაობას. ლაბორატორიული მუშაობა ფართოდ გამოიყენება ბიო-სამედიცინო მეცნიერებების სწავლებისას, რადგან იგი იძლევა თეორიული ცოდნის გამყარების ეფექტურ საშუალებას და ავითარებს დამოუკიდებლად ექსპერიმენტის ჩატარების უნარს.

სიმულაციური სწავლება - გულისხმობს სხვადასხვა ტიპის სიმულატორის და მანეკენების გამოყენებით სამედიცინო ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების შეძენის საუკეთესო საშუალებას, რომელიც პაციენტთან დაკავშირებულ არანაირ რისკს არ შეიცავს.

კლინიკური პრაქტიკა/სწავლება ავადმყოფის საწოლთან (Bedside Teaching) - გულისხმობს სტუდენტის მრავალფეროვანი აქტივობების წარმართვას სამედიცინო დაწესებულებაში ზედამხედველობის ქვეშ. აღნიშნული მეთოდი საშუალებას აძლევს სტუდენტს, განამტკიცოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები და გაიღრმავოს თეორიული ცოდნა სხვადასხვა კლინიკურ სიტუაციაში, იქნება ეს საოპერაციო ბლოკი, თუ გადაუდებელი დახმარების პუნქტი და სხვა, სტუდენტი სწავლობს დაკვირვებისა და პრაქტიკული მუშაობის გზით. კლინიკური პრაქტიკა მოითხოვს სამი მხარის ჩართულობას, კერძოდ: უნივერსიტეტი, სტუდენტი და პოტენციური დამქირავებელი/სამსახური. ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივ განახლებას დინამიკური ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად.

დისკუსია - ლექტორსა და სტუდენტს შორის ან/და სტუდენტთა შორის აზრთა ურთიერთგაცვლის პროცესი, სხვადასხვა მოსაზრების გაგება-გაზიარებისა და გადაწყვეტილების პროცესის ფასილიტაციის მიზნით. დისკუსიის მიმდინარეობისას იზრდება მიღებული ცოდნა და მდიდრდება იგი ახალი მიდგომებითა თუ იდეებით. დისკუსიები შეიძლება მიმდინარეობდეს, როგორც სტუდენტთა მცირე ჯგუფებში, ასევე მთელ ჯგუფში მასწავლებლის ან თავად სტუდენტების ხელმძღვანელობით.

ზეპირი მოხსენება - თეორიული ცოდნის დემონსტრირება და/ან შემთხვევის შესაბამისი მსჯელობა მოხსენების ან კითხვა-პასუხის სახით.

პრეზენტაცია - სტუდენტის მიერ ჯგუფის ან მენტორის წინაშე მოხსენება კონკრეტული საკითხის, შემთხვევის ან საინტერესო სიახლის შესახებ. პრეზენტაცია ასახავს სტუდენტის მიერ განვლილი მასალის ცოდნასა და შეძენილ უნარებს. იგი შეიძლება მომზადდეს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად და დაეყრდნოს ინფორმაციას, რომელიც მოძიებულია რელევანტური წყაროებიდან. პრეზენტაცია განავითარებს ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ჩვევებს და შესასწავლ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარს.

PBL - პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება არის სტუდენტზე ორიენტირებული ინსტრუქციული მეთოდი, რომელიც ეფუძნება პრობლემას, როგორც ახალი ცოდნის შეძენისა და ინტეგრირების წყაროს. ეს არის ახალი ცოდნის შეძენის პროცესი, რომელიც მოითხოვს შემდგომ კვლევას და საჭირო აქტივობების სწრაფ დაგეგმვას. მეთოდი ხელს უწყობს ცოდნის

შემენას და ავითარებს ეფექტური კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის, პრობლემის გადაჭრის, დამოუკიდებელი სწავლის, ინფორმაციის გაზიარების უნარებს. იგი ამლიერებს კრიტიკული შეფასების უნარს, აუმჯობესებს ლიტერატურის მოძიების ჩვევებს და ხელს უწყობს გუნდურ გარემოში მუშაობის წესების შესწავლას.

CBL - case based learning - შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება გულისხმობს კონკრეტული კლინიკური მაგალითების საფუძველზე (შემთხვევის ანალიზი) ცოდნის შეძენას. მუშაობა ძირითადად მიმდინარეობს ჯგუფურად და საჭიროებს დამატებითი ინფორმაციის მოძიებას, დიაგნოზის დიფერენცირებას და განსაზღვრას რთული პრობლემის (შემთხვევის) გადასაწყვეტად. ამ პროცესში ხდება თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და ეს კომბინაცია ხელს უწყობს ანალიტიკურ და კლინიკურ აზროვნებას, ანალიზისა და სინთეზის უნარების განვითარებას, ჯგუფურ მუშაობას და გადაწყვეტილების მიღების უნარს. სტუდენტებს უვითარდებათ სამედიცინო დისკუსიებში მონაწილეობის და კოლეგებთან შეზღუდულ დროში კომუნიკაციის ჩვევა, ანალიტიკური უნარი, ჯგუფური მუშაობის ჩვევა, ალტერნატიული აზროვნება, აქტივობების დაგეგმვისა და შედეგების განჭვრეტის უნარი.

სამეცნიერო კვლევაში ჩართვა – გულისხმობს სხვადასხვა ტიპის კვლევაში მონაწილეობას და ხელს უწყობს კვლევითი უნარების განვითარებას დაინტერესებულ სტუდენტში.

